



საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

030161992171812

KA030161992171812

ბრძანება №-70

ქ. თბილისი

21 / მარტი / 2012 წ.

შპს "ეკო-სფერო"-ს სახიფათო ნარჩენების გადამუშავების (რეზინტექნიკური ნაწარმისა და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№14; 20.03.12წ) ქ.თბილისის მერიის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილ შპს "ეკო-სფერო"-ს სახიფათო ნარჩენების გადამამუშავების (რეზინტექნიკური ნაწარმისა და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს "ეკო-სფერო"-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№14; 20.03.12წ) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს "ეკო-სფერო"-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს "ეკო-სფერო"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; ქ.თბილისის მერიის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის არქიტექტურის სამსახურის წერილი (№12/18756-13; 24.02.12წ) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№14; 20.03.12წ).

მინისტრი

გიორგი ხაჩიძე



საქართველოს ბარემოს დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. ნა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 14

20 მარტი 2012 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება.
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს "ეკო-სფერო", ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი №40.
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი №40.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 05.03.12წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს "წარმოების ეკოლოგია".

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

ქ.თბილისის მერიის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შპს "ეკო-სფერო"-ს რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გზმ-ს ანგარიშის თანახმად:

საქმიანობის ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №40-ში, ტერიტორიის მესაკუთრეა შპს "აღდგენა", რომლის ფართობიც შეადგენს 4854 მ², რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (საკადასტრო კოდი №01.19.15.005.014). ხოლო ნაკვეთის ნაწილი 1660 მ² და 288 მ² შენობა ნაგებობა იჯარით აღებული აქვს შპს "ეკო-სფერო"-ს.

განხილულია საქმიანობის განხორციელების: ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები, ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება, ფლორა და ფაუნა და სხვა.

საწარმოს ფუნქციონირებისთვის შექმნილი აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა: სანედლეულე რესურსებით მომარაგება, ელექტროენერგია, წყალსადენ-კანალიზაცია. კავშირგაბმულობა ხორციელდება ქალაქის არსებული სამომხმარებლო ქსელებიდან. საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 650 მეტრით.

ტექნოლოგიური სქემის მიხედვით საწარმოს ტერიტორიაზე იგეგმება 4 ცალი დანადგარის დამონტაჟება, გამოყენებული ნედლეული (ნახმარი საბურავები, რეზინის, პლასტმასის ნარჩენები) მიეწოდება საჭრელ ჩარხს სადაც ხდება მისი დაჭრა 30 დან 500 მმ-მდე, რომლის ჩატვირთვა ხდება კასეტებში და ელექტროტალის მეშვეობით ჩაიდგმება ტექნოლოგიურ ლუმელში. პროცესის დაწყებამდე მთელი სისტემა ივსება ინერტული აირით, კასეტების მიერთების შემდეგ მთლიანი სისტემა მოწმდება გერმეტულობაზე, ერთ კასეტაში იყრება 1 ტონა სხვადასხვა სახის რეზინის ნარჩენები, ამის შემდეგ ხდება ბუნებრივი აირის მიწოდება და ხდება გაცხელება 300-400°C-მდე. სარეაქციო ლუმელის გაცხელება წარმოებს ჯერ ბუნებრივი აირის, შემდეგ მთლიანად გამოყოფილი აირის ხარჯზე, აირის გამოყოფა იწყება 200°C, კასეტებში ნარჩენების გადამამუშავებისას წარმოიქმნება ტექნოლოგიური აირები, რომლებიც შემდგომ მიეწოდება მაცივარს სადაც ხდება მათი გაციება 50°C-მდე, თხევადი და აირადი პროდუქტები გადადის შემკრებ სეპარატორში სადაც ხდება ერთმანეთისგან გამოყოფა, თხევადი ფაზა გადაიქაჩება პროდუქტის საცავში ცენტრიდანული ტუმბოს საშუალებით, აირადი ფაზის მიწოდება ხდება სველ სეპარატორში, სადაც გაივლის წყლის ფენას და შემდეგ გასუფთავებული აირი მიეწოდება მფრქვევანას და წვა ხდება ტექნოლოგიურ ლუმელში, ზედმეტი აირის შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება და გამოყენებული იქნება ტექნოლოგიურ ლუმელში. თითოეული ციკლი მიმდინარეობს 8 საათს, დღე-ღამეში შესაძლებელია 3 ციკლის ჩატარება თითოეული ლუმელისათვის, ანუ თითოეული ლუმელი წელიწადში შეძლებს გადაამუშაოს 792 ტონა ნარჩენი, ხოლო ოთხივე ლუმელიდან დღე-ღამეში შესაძლებელია

გადამუშავდეს 12 ტონა ნარჩენი, რაც წელიწადში შეადგენს 3168 ტონას, გადამუშავებისას წარმოიქმნება: 1457.28 ტ/წ თხევადი პროდუქტი, 177.408 ტ/წ აირი, 1096.28 ტ/წ კოქსი და 380.16 ტ/წ ლითონის ჯართი.

საწარმოს ტერიტორიიდან ხდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შემდეგი ნივთიერებებით: ნახშირწყალბადები 0.062 ტ/წ, მტვერი 7.752 ტ/წ, გოგირდწყალბადი 0.00027 ტ/წ, აზოტის ორჟანგი 2.777 ტ/წ, ნახშირორჟანგი 6.768 ტ/წ, ნახშირორჟანგი 1520.640 ტ/წ. საწარმოს ძირითად დამაბინძურებელ წყაროებს შეადგენს: რეზინტექნიკური ნაწარმის გადამამუშავებელი დანადგარები, ნავთობპროდუქტების რეზერვუარები, პროდუქციის გაცემის უბანი, კოქსის დასაწყობების უბნები. მაგნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მაგნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან 500 მეტრიან რადიუსის მანძილზე.

საწარმოს წყალმომარაგება ხოლრციელდება ქ.თბილისის წყალმომარაგების სისტემიდან და ასევე სანიაღვრე წყლების გაწმენდის შემდეგ მიღებული წყლით. მუშა-მომსახურე პერსონალი, რომლის რაოდენობა შეადგენს 12 კაცს, წელიწადში დახარჯული წყალი იქნება სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის 142.56 მ³. წყალი გამოიყენება ასევე ტექნოლოგიურ პროცესში გაციებისთვის, რომელიც ბრუნვით სისტემაშია და შეადგენს 200 მ³, დანაკარგების შევსებისთვის გათვალისწინებულია 0.2 მ³/სთ, სულ 1267.2 მ³/წ. სახანძრო მიზნებისათვის გამოიყენება 400 მ³ მოცულობის წყლის ავზი, რომელიც გამოიყენება ბრუნვით სისტემაში, ხანძრის ჩასაქრობად წყლის მაქსიმალური ხარჯი მოსალოდნელია 20 მ³ ოდენობით. საწარმოში ასევე წარმოიქმნება ჩამდინარე წყლები, რომელიც ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში ჩაედინება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სანიაღვრე წყლები იკრიბება მიწისქვეშა რეზერვუარში, რომლის გაწმენდის შემდეგ გადადის მიწისზედა 400 მ³ რეზერვუარში, საიდანაც ხდება ტექნოლოგიურ პროცესში მისი გამოყენება გაციებისთვის.

საწარმოში მოსალოდნელია შემდეგი ავარიული სიტუაციები: გამომავალი მილების და ვენტილების დაზიანება, რეზერვუარების გადავსება, ნავთობპროდუქტების ანაორთქლის გამოშვება ცხელ ამინდში, რეზერვუარის დაზიანება, გაჟონვა ტექნოლოგიურ დანადგარებში, მილების დაზიანება, ნავთობპროდუქტების სათავსების მილგაყვანილობათა კოროზია ან ავარიული დაზიანება, ასევე შესაძლებელია ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრა, რისთვისაც ტერიტორიაზე მოხდება ქვიშის დაყრა და ნარჩენების გაუვნებლება, ხოლო შემდგომ უტილიზაცია მოხდება შესაბამისი წესის მიხედვით. ავარიების თავიდან აცილებისთვის აუცილებელია დამუშავდეს სპეციალური გეგმა.

საწარმოს გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობა რის შემადგენლობაშიცაა: სახანძრო ზედამხედველობის ოთახი, ინვენტარის შესანახი სახანძრო სათავსო, ხანძარსაწინააღმდეგო წყლის ავზი, სამეურნეო-ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობა და სახანძრო სტენდები. საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წყლის რგოლური ქსელი სპეციალური ჰიდრანტებით. ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები და ინვენტარი უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში, ასევე ხანძრის გაჩენის მინიმუმამდე დაყვანისთვის აკრძალულია ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემა სიბნელეში.

საწარმოში წარმოიქმნება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება ტერიტორიაზე არსებულ კონტეინერებში

და ხელშეკრულების საფუძველზე გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე კომუნალური დასუფთავების სამსახურის მიერ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 6 მ³. სამრეწველო ნარჩენს ძირითადად წარმოადგენს მეტალის ნარჩენი, რომელიც წელიწადში შეადგენს 380.16 ტონას და ჩაბარებული იქნება ჯართის მიმღებ პუნქტში ან მეტალურგიურ წარმოებაში. ტექნოლოგიურ წარმოებაში წარმოქმნილი კოქსის რაოდენობა იქნება 1096.28 ტონა და გამოიყენება სხვადასხვა მეტალურგიულ წარმოებებში. ნარჩენების გადაცემა მოხდება "ნარჩენების გადაცემის ფორმის" შევსების გზით სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს: გადაცემის თარიღი და დრო, ნარჩენების აღწერა რაოდენობის მითითებით, ინფორმაცია ნარჩენების მწარმოებლის შესახებ, ინფორმაცია ნარჩენების გადამზიდის შესახებ, ინფორმაცია მიმღები პირების შესახებ და მწარმოებლის, გადამზიდის და მიმღების წარმომადგენლების ხელმოწერა.

საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ხელმძღვანელობა ვალდებულია ტერიტორია მოიყვანოს საქმიანობის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობაში საქმიანობის შეწყვეტის პარალელურად.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

შპს "ეკო-სფერო"-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია:


1. საქმიანობა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად;
2. საწარმომ ექსპლუატაციაში გაშვებამდე შეიმუშაოს და გარემოს დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;
3. საწარმომ ექსპლუატაციაში გაშვებამდე შეიმუშაოს და გარემოს დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
4. საწარმომ ექსპლუატაციაში გაშვებამდე შეიმუშაოს და გარემოს დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის, კატეგორიის, აღრიცხვის, შეგროვების, დროებით უსაფრთხოდ განთავსების პირობების, გადამუშავების და გატანის შესახებ;
5. უზრუნველყოს "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

IV. დასკვნა

ქ.თბილისის მერიის, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ შპს "ეკოსფერო"-ს სახიფათო ნარჩენების გადამუშავების (რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია) პროექტის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობებით.

ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თამარ შარაშიძე
(სახელი, გვარი)



(ხელმოწერა)



ბ.ა.